ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**№48. 48241502**

თარიღი:**29/05/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის" (ს/ნ 421283104) 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 28 მარტის №48.48240884 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.გ" ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის" (ს/კ 421283104) წესდების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 26 თებერვლის №№48. 48240572 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის, და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების პროგრამის ასიგნებების მუხლებს შორის თანხის გადანაწილებისა და ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 08 აპრილის №48.48240994 ბრძანებისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის დირექტორის 2024 წლის 29 მაისის №:14-482415038 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის" (ს/ნ 421283104) 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 28 მარტის №48.48240884 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი №1-ის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის დირექტორს (დ.იობიძე).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ქ. ქუთაისი, 221274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი